საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #42

2020 წელი 1 ოქტომბერი 15,00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ი. ჯიშკარიანი, ლ. არველაძე,
ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტეის საკრებულოს ქონების მართვის და სფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები

საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე - ლევან ჟორჟოლიანი

სსიპ ქონების მართვის სააგენტო - ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე; თამარ მელიქიშვილი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარის მ/შ ლევან დარახველიძე

სხდომის თავმჯდომარის მ/შ ლ.დარახველიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი:

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, გლდანისა და ვარკეთილის რაიონებში მდებარე შესაბამის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობანაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის

მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე"

მოისმინეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, გლდანისა და ვარკეთილის რაიონებში მდებარე შესაბამის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობანაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე" საკითხთან დაკავშირებოთ კომისიის წევრების შეკითხვებზე დამატებითი დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ

ქონების მართვის და სფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა ვახტან შაქარაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის დამტკიცება არის დანაშაულებღივი გადაწყვეტილება, რადგან მხოლოდ იმიტომ, რომ მუნიციპალიტეტი ვერ იცავს ქალაქის საკუთრებას, ასევე ვერ უზრუნველყოფს ამ ტერიტორიების სწორად განვითარებას, ამოტომ ათეულობით მილიონი ქონების 1 ლარად გადაცემა არის უდიდესი შეცდომა. ეს გადაწყვეტილება ვერ შეაჩერებს აღნიშნულ ტეროტორიაზე მიწების მითვისების პროცესს და ამ გადაწყვეტილებას ბიუჯეტში შემოსავლები არ მოაქვს. როდესაც პანდემიის პროცესში ბიუჯეტში შემოსავლების ნაწილში არის დანაკლისი, არასწორია აღნიშნული.

ირაკლი თავართქილაძემ ამომწურავი პასუხი გასცა ყველა დასმულ შეკითხვას და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრების გადაწწყვეტილებით, ზემოაღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შედასება და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

ლ.დარახველიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.დარახველიძე